პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებანი

№ 4–6 (17–19) იანვარი–მარტი 1949 წ.

## შინაარსი

მისალმება ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიასადმი მისი დაბადების 50 წლისთავის გამო.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი**

44. ღრმა-ღელის დასახლების ქალაქ თბილისთან შეერთების შესახებ.
45. საქართველოს სსრ ალპინისტების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
46. ამხ. რ. ს. შადურის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.
47. ამხ. ი. ს. დოლიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსად დანიშვნის შესახებ.
48. ამხ. ი. დ. კოჭლამაზაშვილის საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.
49. ამხ. გ. ა. გოჩაშვილის საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ.
50. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციისა და სახელმწიფო გამომცემლობის სტამბის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
51. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს და საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სამინისტროს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროდ გაერთიანების შესახებ.
52. ამხ. გ. ა. რობაქიძის საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ.
53. ამხ. ლ. ა. რუხაძის საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.
54. ამხ. ს. ე. არობელიძის საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.
55 ამხ. მ. ბ. ნარსიას საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრად დანიშვნის შესახებ.
56. ბავშვების სარჩენად ალიმენტის გადახდევინების საქმის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წ. 17 იანვრის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

57. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს და საქართველოს სსრ სა[illegible]მოვნო მრეწველობის სამინისტროს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროდ გაერთიანების შესახებ.

58. ამხ. ვ. მ. ბაქრაძის საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

59. ამხ. გ. ე. ალავიძის საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

60. ნ. რ. მარგიევის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

61. საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ბ. ა. გალაევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მისალმება ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიასადმი მისი დაბადების 50 წლისთავის გამო

მოსკოვი

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

**ამხანაგ ბერიას**

**ძვირფასო ლავრენტი პავლეს-ძევ!**

თქვენი დაბადების 50 წლისთავის დღეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი გულითად, მგზნებარე სალამს გიძღვნით თქვენ, ქართველი ხალხის საყვარელ შვილს, დიდი სტალინის ერთგულ თანამებრძოლს, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეს.

საქართველოს მშრომელები უდიდესი მადლობის გრძნობით წარმოთქვამენ თქვენს სახელს, ვისთანაც დაკავშირებულია გრანდიოზული წარმატებანი ქართველი ხალხის მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში.

თქვენი უშუალო ხელმძღვანელობით განხორციელდა საქართველოს ინდუსტრიის მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის სტალინური გეგმა, რომელმაც საქართველო მოკლე ხანში მოწინავე სოციალისტურ რესპუბლიკად გადააქცია. საქართველოს ბოლშევიკები და ყველა მშრომელნი თქვენ აღზარდეთ ჩვენი სახელოვანი სამშობლოსადმი, ლენინ-სტალინის დიადი პარტიისადმი და საყვარელი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით.

1942 წლის შემოდგომის მრისხანე დღეებში თქვენ ამხანაგ სტალინის დავალებით სათავეში ჩაუდექით კავკასიის დაცვის საქმეს და უზრუნველყავით ამიერკავკასიის მისადგომებზე ფაშისტთა ურდოების განადგურების სტალინური გეგმის ბრწყინვალედ განხორციელება.

ომისშემდგომი მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდში ჩვენ ყოველდღიურად ვგრძნობთ თქვენს დახმარებას ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების სტალინური გეგმის შესრულების საქმეში.

თქვენს მიერ სახელოვან სტალინურ ტრადიციებზე აღზრდილი საქართველოს მშრომელები ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით კვლავაც ივლიან კომუნიზმის მშენებელთა მოწინავე რიგებში, განუხრელად შეასრულებენ საბჭოთა მთავრობის, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საყვარელი ბელადის დიდი სტალინის ყველა მითითებას.

გისურვებთ თქვენ, ძვირფასო ლავრენტი პავლეს-ძევ, ჯანმრთელობას და მრავალ წელს სიცოცხლეს ჩვენი დიადი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

**საქართველოს სსრ უმაღლესი**
**საბჭოს პრეზიდიუმი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

## 44. ღრმა-ღელის დასახლების ქალაქ თბილისთან შეერთების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

„ქალაქ თბილისის საზღვრების ცვლილების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წ. 23 ივნისის ბრძანებულების 4 მუხლის შესაცვლელად, გამოეყოს თბილისის რაიონს და შეუერთდეს ქალაქ თბილისს ღრმა-ღელის დასახლება ტერიტორიით შემდეგ საზღვრებში: ჩრდილოეთით—მდინარე გლდანი, აღმოსავლეთით—ქალაქის მიჯნა, სამხრეთით—ღრმა-ღელის ხევი და დასავლეთით—მდინარე მტკვარი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ვოგუა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი.

ქ. თბილისი.
1948 წ. 24 დეკემბერი.

## 45. საქართველოს სსრ ალპინისტების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სსრ-ში ალპინიზმის განვითარების საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის, ყაზბეგის მწვერვალზე 502 ალპინისტის მასობრივი ასვლის ჩინებულად მოწყობისათვის, საბჭოთა ალპინიზმის 25 წლისთავთან დაკავშირებით, დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. ასლანიშვილი იოსებ ანტონის-ძე,
2. ასტახიშვილი კონსტანტინე იაკობის-ძე,
3. ანანიევი ნიკოლოზ ევსტიგნეის-ძე,
4. ბაქრაძე გიორგი ვიქტორის-ძე,
5. ბელეცკაია ვერა კონსტანტინეს ასული,
6. ბექანიშვილი მარიამ გრიგოლის ასული,
7. გვალია ალექსანდრე იორდანეს ძე,

ეროვნული
ბიბლიოთეკა



8. გვარლიანი მაქსიმე დავითის-ძე,
9. გიგინეიშვილი ოთარ ისიდორეს-ძე,
10. დეკანოსიძე ოთარ ქაიხოსროს-ძე,
11. დიდებულიძე ალექსანდრე იოსების-ძე,
12. ზურებიანი გოჯი ლუარსაბის-ძე,
13. ივანიშვილი ალექსი ივანეს-ძე,
14. იოსელიანი დიმიტრი მელიტონის-ძე,
15. კაფიანი რევაზ ალექსანდრეს-ძე,
16. კეთილაძე ვალერიან სევერიანის-ძე,
17. კეცხოველი ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე,
18. კვაჭაძე ვახტანგ მიხეილის-ძე,
19. კინწურაშვილი აკაკი კონდრატის-ძე,
20. კრეპსი ბორის მიხეილის-ძე,
21. კუკავაძე ივანე საბას-ძე,
22. ლუკაშვილი ირაკლი ზაქარიას-ძე,
23. მარი ივანე გიორგის-ძე,
24. მარუაშვილი ლევან იოსების-ძე,
25. მელია გივი სიმონის-ძე,
26. მჟავანაძე ალექსი პავლეს-ძე,
27. ნემსიწვერიძე ალექსი ამბაკოს-ძე,
28. ნუშტაევი კონსტანტინე პეტრეს-ძე,
29. ობოლაძე დიმიტრი პლატონის-ძე,
30. ორლოვი იური ვალენტინის-ძე,
31. რატიანი ტაზა ალამის-ძე,
32. საღრიშვილი კონსტანტინე ვიქტორის-ძე,
33. სანებლიძე მელიტონ სტეფანეს-ძე,
34. სუჯაშვილი ვალერიან ეგორის-ძე,
35. ტყავაძე მარიამ გიორგის ასული,
36. უთმელიძე მარინა ტიმოთეს ასული,
37. ფარულავა ალექსანდრე სამსონის-ძე,
38. ფურცელაძე დავით ლევანის-ძე,
39. ქირიკაშვილი ვახტანგ ნიკოლოზის-ძე,
40. ღამბაშიძე გივი ლევანის-ძე,
41. შიოშვილი შალვა ალექსის-ძე,
42. შხვაცაბაია სიმონ ვლადიმერის-ძე,
43. ჩართოლანი ჭიჭიკო გაიოზის-ძე,
44. ცნობილაძე ნატალია გიორგის ასული,
45. წერეთელი დავით ბესარიონის-ძე,
46. ხერგიანი ბექნუ ბესარიონის-ძე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

47. ხერგიანი ბესარიონ ბექას-ძე,
48. ჯაფარიძე ალექსანდრა ბიჭიას ასული,
49. ჯაფარიძე ჯუანშერ სტეფანეს-ძე,
50. ჯორჯიაშვილი ზაალ სიმონის-ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გოგუა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი.

ქ. თბილისი.
1948 წ. 24 დეკემბერი.

**46. ამხ. რ. ს. შადურის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ**

განთავისუფლდეს ამხ. როსტომ სიმონის-ძე შადური საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე დ. დავითაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივნის მოვალეობის დროებით აღმსრულებელი ა. ჯანელიძე.

ქ. თბილისი.
1948 წ. 31 დეკემბერი.

**47. ამხ. ი. ს. დოლიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსად დანიშვნის შესახებ**

დაინიშნოს ამხ. ისიდორე სამსონის-ძე დოლიძე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე დ. დავითაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივნის მოვალეობის დროებით აღმსრულებელი ა. ჯანელიძე.

ქ. თბილისი.
1948 წ. 31 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**48. ამხ. ი. დ. კოჭლამაზაშვილის საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ**

განთავისუფლდეს ამხ. იოსებ დიმიტრის-ძე კოჭლამაზაშვილი საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან მისი სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გოგუა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი.

ქ. თბილისი.
1949 წ. 13 იანვარი.

**49. ამხ. გ. ა. გოჩაშვილის საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ**

დაინიშნოს ამხ. გიორგი ალექსანდრეს-ძე გოჩაშვილი საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გოგუა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი.

ქ. თბილისი.
1949 წ. 13 იანვარი.

**50. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციისა და სახელმწიფო გამომცემლობის სტამბის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის გაზეთ „კომუნისტის“ არსებობის 25 წლისთავთან დაკავშირებით, დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციისა და სამხრეთ-ოსეთის სახელმწიფო გამომცემლობის სტამბის შემდეგი მუშაკები, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მუშაობაში:

ეროვნული ბიბლიოთეკა



**რედაქციისა:**

| | |
|---|---|
| 1. ზასეევი ფილიპე გრიგოლის-ძე | პასუხისმგებელი რედაქტორი, |
| 2. ხუბულოვი ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე | პასუხისმგებელი მდივანი, |
| 3. ძუდცოვი დიმიტრი გრიგოლის-ძე | პარტიული ცხოვრების განყოფილების გამგე, |
| 4. ჯიოევი ნიკოლოზ კიმიჩის-ძე | სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგე, |
| 5. კულუმბეკოვა მარიამ პეტრეს ასული | შინაგანი ინფორმაციის განყოფილების გამგე, |
| 6. კაბულოვა ბარბარე დავითის ასული | კორექტორი. |

**სტამბისა:**

| | |
|---|---|
| 1. გაბარაევა ოლღა რევაზის ასული | ასოთამწყობი, |
| 2. ტიბილოვა ერმონია აკიმის ასული | ასოთამწყობი, |
| 3. კოჩიევი ვლადიმერ იოსების-ძე | დამკაბადონებელი, |
| 4. კოჩიევა ლიუბა ელიოზის ასული | დამკაბადონებელი. |

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1949 წ. 19 იანვარი.

**51. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს და საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სამინისტროს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროდ გაერთიანების შესახებ**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 28 დეკემბრის ბრძანებულების შესაბამისად, გაერთიანდეს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო და საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სამინისტრო საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროდ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1949 წ. 24 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### 52. ამხ. გ. ა. რობაქიძის საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ამხ. გიორგი აბესალომის-ძე რობაქიძე საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გოგუა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი.

ქ. თბილისი.
1949 წ. 24 იანვარი.

### 53 ამხ. ლ. ა. რუხაძის საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

განთავისუფლდეს ამხ. ლონგინოზ ალექსანდრეს-ძე რუხაძე საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს და საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სამინისტროს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროდ გაერთიანების გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გოგუა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი.

ქ. თბილისი.
1949 წ. 24 იანვარი.

### 54. ამხ. ს. ე. არობელიძის საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

განთავისუფლდეს ამხ. სევერიან ესეს-ძე არობელიძე საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გოგუა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი.

ქ. თბილისი.
1949 წ. 24 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### 55. ამხ. მ. ბ. ნარსიას საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ამხ. მიხეილ ბახვას-ძე ნარსია საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გოგუა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი.

ქ. თბილისი.
1949 წ. 24 იანვარი.

### 56. ბავშვების სარჩენად ალიმენტის გადახდევინების საქმის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წ. 17 იანვრის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ

მოისმინა რა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის ამხ. ა. რაფავას და საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილის ამხ. ბ. ფურცხვანიძის მოხსენებები ბავშვების სარჩენად ალიმენტის გადახდევინების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წ. 17 იანვრის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს და საქართველოს სსრ პროკურატურის მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგად ბავშვთა სარჩენად ალიმენტის გადახდევინების საქმე გაუმჯობესდა; გაძლიერებულია ბრძოლა იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც ბოროტი განზრახვით თავს არიდებენ ალიმენტის გადახდას, გაუმჯობესდა საალიმენტო საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებათა აღსრულება და სხვა.

ამასთანავე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ბავშვთა სარჩენად ალიმენტის გადახდევინების საქმეს საქართველოს სსრ-ში ჯერ კიდევ აქვს სერიოზული ნაკლოვანებანი.

პროკურატურის ზოგიერთი ორგანო უსულგულო დამოკიდებულებას იჩენს დედების საჩივრებისადმი. მაგალითად, ქ. თბილისის სტალინის სახ. რაიონის პროკურორმა ამხ. პაიჭაძემ და 26 კომისრის სახ. რაიონის პროკურორმა ამხ. კაპანაძემ დედების საჩივრები ალიმენტის გადაუხდელობის შესახებ უყურადღებოდ დატოვეს 4-5 თვის განმავლობაში; ქ. სოხუმის პროკურორმა ამხ. გვასალიამ მიიღო რა მოქ. კალიფიტიდის საჩივარი იმაზე, რომ მის ყოფილ ქმარს 1947 წლის განმავლობაში არ გადაუხდია ბავშვის შესანახად გადაწყვეტილი ალიმენტი, უყურადღებოდ მოეკიდა ამ საჩივრის განხილვას. მან მოპა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



სუხისაგან წარდგენილი ქვითრები 1946 წელში ალიმენტის გადახდის შესახებ მიიჩნია 1947 წლის საბუთად და მოქ. კალიფიტიდის საჩივარი ჩასთვალა უსაფუძვლოდ.

ზოგიერთი სახალხო სასამართლო საალიმენტო საქმეებს ჯერ კიდევ დაგვიანებით იხილავს. მაგალითად, ტყვარჩელის სახალხო სასამართლომ 25 საალიმენტო საქმიდან დაწესებულ ვადაზე განიხილა მხოლოდ 7 საქმე; ქლუხორის რაიონის სახალხო სასამართლომ 30 საალიმენტო საქმიდან თავის დროზე განიხილა მხოლოდ 17 საქმე; თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლომ 47 საალიმენტო საქმიდან 22 განიხილა კანონით დადგენილი ვადის დარღვევით.

რიგი პროკურორები არ იღებენ მონაწილეობას სასამართლოს სხდომაში საალიმენტო საქმეების განხილვის დროს. კიდევ სუსტია კონტროლი საალიმენტო საქმეებზე გამოტანილ სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულებაზე. იუსტიციის სამინისტრო და რესპუბლიკის პროკურატურა არ ახორციელებენ საკმაო ზედამხედველობას სხვადასხვა ორგანიზაციების, თანამდებობის პირებისა და ცალკე მოქალაქეთა მოქმედებაზე ალიმენტის გადახდევინების საქმეში. რიგ საწარმოებსა და დაწესებულებებში ფერხდება საალიმენტო თანხების დაკავება და დანიშნულებისამებრ გადაცემა; ლაგოდეხის რაიონში სოფ. ჩადუნიანის „ოქტომბრის ქარიშხლის" კოლმეურნეობისა და სოფ. ზემო მსხალგორის კარლ მარქსის სახელ. კოლმეურნეობის თავმჯდომარეებმა და მოანგარიშეებმა მოპასუხეებს კუშენკოს და გოგოლაძეს, რომლებსაც უნდა გადაეხადათ ალიმენტი შვილების შესანახად, არ დაუკავეს კუთვნილი თანხები და პროდუქტები სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად; სამტრედიის რაიონში მოქ. შ. სტურუამ, ი. სტურუამ და მ. ხარცავამ უარი განაცხადეს ალიმენტის გადახდაზე, ხოლო სასამართლომ არ მიიღო მათ წინააღმდეგ კანონით გათვალისწინებული ზომები. ცხაკაიას რაიონის 1 უბნის სახალხო სასამართლომ 5 თვის განმავლობაში ალიმენტი არ გადაახდევინა მოქ. კინწურაშვილს; იმავე რაიონის ნოქალაქევის უბნის სახალხო სასამართლომ 1947 წლის განმავლობაში ვერ შესძლო ალიმენტის გადახდევინება მოქ. კარტოზიასათვის; ცხაკაიას რაიონის 1 უბნის სახალხო სასამართლომ 1941 წლიდან 1948 წლამდე სისრულეში ვერ მოიყვანა აღსრულების ფურცელი, რომლითაც მოქ. შ. ჯანჯღავას უნდა გადაეხადა ალიმენტი შვილის შესანახად.

ადგილი აქვს აგრეთვე ალიმენტის გადამხდელის ხელფასიდან დაქვითული თანხის დაწესებულება-ორგანიზაციის მოლარის მიერ მითვისების შემთხვევებს (თბილისის 26 კომისრის სახ. რაიონი) და სასამართლოს აღმასრულებლების მიერ საალიმენტო თანხის გაფლანგვას (თბილისის მოლოტოვის სახ. რაიონის 1 უბნის სახ. სასამართლო, ცხაკაიას რაიონის 1 უბნის სახალხო სასამართლო).

შვილების სარჩენად გადაწყვეტილი თანხების გადახდისაგან ბოროტად თავის არიდებისათვის დამნაშავე პირებს სახალხო სასამართლოები უფარდებენ მსუბუქ სასჯელს, რომელიც მოქმედ კანონს არ შეესაბამება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილიციის ორგანოები სუსტად აწარმოებენ ალიმენტის გადახდის თავისამრიდებელთა ძიებას.

ახალქალაქის, ახალციხის, ამბროლაურის, გორის, გურჯაანის და ზოგიერთი სხვა რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს არ განუხილავთ თავიანთ სხდომებზე საკითხი ბავშვთა შესანახად ალიმენტის გადახდევინების მდგომარეობის შესახებ და არ მიუღიათ საჭირო ზომები ამ საქმის გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრს ამხ. ა. რაფავას, შინაგან საქმეთა მინისტრს ამხ. გ. კარანაძეს, საქართველოს სსრ პროკურორს ამხ. ვ. შონიას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ განცხადებებსა და საჩივრებს ბავშვების სარჩენად საჭირო სახსრების გადაუხდელობისა და არასრულწლოვანი შვილების მშობლის მიერ უმწეოდ დატოვების შესახებ, უზრუნველყონ ამ განცხადებებისა და საჩივრების დაუყოვნებლივ განხილვა და დედათა და ბავშვთა კანონიერი ინტერესების დაცვა.

2. დაევალოს საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრს ამხ. ა. რაფავას გადაჭრით გააუმჯობესოს სასამართლოებისა და სასამართლოს აღმასრულებელთა მუშაობა და უმოკლეს დროში აღმოფხვრას ბავშვების სარჩენად ალიმენტის გადახდევინების საქმეების განხილვისა და ამ საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებათა აღსრულების გაჭიანურება, რასაც ჯერ კიდევ ადგილი აქვს სასამართლო ორგანოების მუშაობაში.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ პროკურორს ამხ. ვ. შონიას გააძლიეროს ზედამხედველობა ორგანიზაციების, თანამდებობის პირებისა და ცალკე მოქალაქეთა მოქმედებაზე და ალიმენტის გადახდის დარგში მოქმედ კანონთა დარღვევის არც ერთი შემთხვევა არ დასტოვოს პროკურატურის ორგანოების მიერ განუხილველი; უზრუნველყოს საალიმენტო საქმეების განხილვის დროს სასამართლოს სხდომაზე პროკურორის მონაწილეობა; მეთვალყურეობა გაუწიოს საალიმენტო საქმეებზე დამნაშავე პირებისათვის კანონით გათვალისწინებული სასჯელის შეფარდებას.

4. წინადადება მიეცეს მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს სისტემატურად მოისმინონ თავიანთ სხდომებზე საკითხი შვილების სარჩენად ალიმენტის გადახდევინების მდგომარეობის შესახებ და გაატარონ საჭირო ღონისძიებანი ამ საქმის გაუმჯობესებისათვის, აგრეთვე დედების საჩივრების სასწრაფოდ განხილვისა და მათთვის კანონიერი დახმარების გაწევისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1949 წ. 31 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**57. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს და საქართველოს სსრ საგემოვნო მრეწველობის სამინისტროს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროდ გაერთიანების შესახებ**

შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 20 იანვრის ბრძანებულებისა „სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს და სსრ კავშირის საგემოვნო მრეწველობის სამინისტროს სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროდ გაერთიანების შესახებ“, —საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. გაერთიანდეს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო და საქართველოს სსრ საგემოვნო მრეწველობის სამინისტრო საქართველოს სსრ კვების მრეწველობის საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ.

2. გადაეცეს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს და საქართველოს სსრ საგემოვნო მრეწველობის სამინისტროს საწარმოები, საბჭოთა მეურნეობანი, მშენებლობანი და ორგანიზაციები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გოგუა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი.

ქ. თბილისი.
1949 წ. 5 თებერვალი.

**58. ამხ. ვ. მ. ბაქრაძის საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ**

დაინიშნოს ამხ. ვალერიან მინას-ძე ბაქრაძე საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გოგუა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი.

ქ. თბილისი.
1949 წ. 5 თებერვალი

**59. ამხ. გ. ე. ალავიძის საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ**

განთავისუფლდეს ამხ. გიორგი ერმალოზის-ძე ალავიძე საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გოგუა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი.

ქ. თბილისი.
1949 წ. 5 თებერვალი.

**60. ნ. რ. მარგიევის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ**

განთავისუფლდეს ნიკოლოზ რაჟდენის-ძე მარგიევი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გოგუა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი.

ქ. თბილისი.
1949 წ. 28 თებერვალი.

**61. საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ბ. ა. გალაევის საქართველოს სსრ უმაღლეხი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიველით დაჯილდოების შესახებ**

დაბადებიდან 60 წლისა და სასცენო მოღვაწეობის 40 წლის შესრულებასთან დაკავშირებით დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით სამხრეთ-ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ხელმძღვანელი საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ბორის ალექსანდრეს-ძე გალაევი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გოგუა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი.

ქ. თბილისი.
1949 წ. 5 მარტი.

99-138
ეროვნული ბიბლიოთეკა
42/2ъ

სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ., მთავრობის სახლი.

Ведомости Верховного Совета
Грузинской Советской Социалистической Республики
№ 4—6 (17—19) январь—март 1949 г.
(на грузинском языке)

ИЗДАНИЕ ПРЕЗИДИУМА ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГССР

[redacted] ფასი 1—50 კაპ.

სტამბის შეკვ. № 601 ტირაჟი 2000 უე 02924

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ № 14.
Полиграфкомбинат „Комунисти" им. Л. П. Берия, Тбилиси, ул. Ленина № 14.